



## სამართლებლო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტროს

### ბრძანება № 01-11/35

ქ. ბათუმი 15 თებერვალი 2021წ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ქვეპროგრამის „კონკურსები და ოლიმპიადები“ კომპონენტების „საგნობრივი ოლიმპიადა“, „კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის“ და „ესეების კონკურსი“-ს დებულების დამტკიცების შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2021 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულია პროგრამის „ზოგადი და პროფესიული განათლება“ ქვეპროგრამის „კონკურსები და ოლიმპიადები“ (კლასიფიკაციის კოდი: 050802) კომპონენტები „საგნობრივი ოლიმპიადა“ „კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის“ და „ესეების კონკურსი“. კონკურსის ორგანიზების მიზნით მიზანშეწონილია დამტკიცდეს ქვეპროგრამის „კონკურსები და ოლიმპიადები“, კომპონენტების „საგნობრივი ოლიმპიადა“, „კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის“ და „ესეების კონკურსი“-ს დებულება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტროს განათლების დეპარტამენტის უფროსის ნაზიბროლა ბერიძე გაბაიძის 2021 წლის 08 თებერვლის N75577 მოხსენებითი ბარათისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად,

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ქვეპროგრამის „კონკურსები და ოლიმპიადები“ კომპონენტების „საგნობრივი ოლიმპიადა“, „კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის“ და „ესეების კონკურსი“-ს ორგანიზების მიზნით, დამტკიცდეს „საგნობრივი ოლიმპიადა“, „კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის“ და „ესეების კონკურსი“-ს დებულება თანდართული რედაქციით.
2. ბრძანების შესაბამისი პირებისათვის გაცნობა დაევალოს სამინისტროს საქმისწარმოებისა და ადმინისტრირების განყოფილებას.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში (მის: ქალაქი ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ.№9) ერთი თვის ვადაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მია ხაჯიშვილი  
მ ი ნ ი ს ტ რ ი



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს  
„კონკურსები და ოლიმპიადები“ (კლასიფიკაციის კოდი: 050802)  
ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული  
„საგნობრივი ოლიმპიადა“  
„კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის“  
და  
„ესეების კონკურსი“  
დებულება

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

აღნიშნული დებულება არეგულირებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (შემდგომში – სამინისტრო) მიერ „კონკურსები და ოლიმპიადები“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული „საგნობრივი ოლიმპიადა“, „კონკურსი დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის“ და „ესეების კონკურსი“ კომპონენტების ფარგლებში კონკურსის ჩატარების წესს.

**მუხლი 2. კონკურსის ადმინისტრირებაზე უფლებამოსილი ორგანო**

1. კონკურსის ადმინისტრირებას ახორციელებს შესაბამისი სკოლა, რესურსცენტრი, სამინისტრო და ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი.
2. სამინისტრო შეიმუშავებს და მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ამტკიცებს:
  - ა) რეგისტრაციის ფორმებსა და ვადებს;
  - ბ) პირველი, მეორე ასევე, ესეების კონკურსის მესამე ტურის ჩატარების განრიგსა და ადგილს;

**მუხლი 3. საგნობრივი ოლიმპიადის პირობები**

1. საგნობრივი ოლიმპიადა ჩატარდება შემდეგ საგნებსა და კლასებში:
  - ა) ქართული ენა და ლიტერატურა - VII; VIII; IX კლასები;
  - ბ) ინგლისური ენა - VII; VIII; IX კლასები;
  - გ) მათემატიკა - VII; VIII; IX კლასები;
  - დ) ფიზიკა - IX კლასი;
  - ე) ქიმია - IX კლასი;
  - ვ) ბიოლოგია - IX კლასი.
2. რუსული სექტორის მოსწავლეებისთვის ფიზიკაში, მათემატიკაში, ქიმიასა და ბიოლოგიაში ოლიმპიადა უნდა ჩატარდეს რუსულ ენაზე. ოლიმპიადის ჩატარების განრიგი უნდა ითვალისწინებდეს ერთი და იგივე მოსწავლის სხვადასხვა საგნობრივ ოლიმპიადაში მონაწილეობის შესაძლებლობას.
3. საგნობრივი ოლიმპიადა ჩატარდება ორ ტურად:
  - ა) ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის მოსწავლეების რეგისტრაციასა და პირველი ტურის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩატარების ორგანიზებას უზრუნველყოფს სამინისტრო;

- ბ) პირველი ტური ჩატარდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სამინისტროდან მიღებული ტესტების საფუძველზე;
  - გ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება შეაფასებს და სამინისტროს მიაწოდებს ოლიმპიადის პირველი ტურის შედეგებს;
  - დ) სამინისტრო პირველი ტურის შედეგების მიხედვით გამოავლენს ოლიმპიადის მეორე ტურის მონაწილეებს;
  - ე) მეორე ტური ჩატარდება წერილობითი ფორმით ქ. ბათუმში, სამინისტროს მიერ გამოყოფილ სივრცეში, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, გათბობით, სველი წერტილებით;
  - ვ) ოლიმპიადის მეორე ტურის ჩატარება მოეთხოვება ტენდერში გამარჯვებულ მიმწოდებელს;
  - ზ) ოლიმპიადის გამარჯვებულებს მეორე ტურის შედეგების მიხედვით გამოავლენს სამინისტრო.
4. საგნობრივი ოლიმპიადის ტესტებს და შეფასების წესს ადგენს ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ შესაბამისი საგნის სპეციალისტებისგან (არანაკლებ 3 წევრი) დაკომპლექტებული კომისია, რომლებსაც უნდა ჰქონდეთ:
- ა) უმაღლესი განათლება შესაბამის საგანში (მაგისტრი/სასურველია დოქტორი);
  - ბ) არანაკლებ სამწლიანი სამუშაო გამოცდილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამის საგანში და საფეხურზე (საბაზო);
  - გ) წამყვანი/მენტორი მასწავლებლის სტატუსი, ან/და არის ააიპ აჭარის განათლების ფონდთან არსებული მასწავლებელთა სახლის საგნობრივი ტრენერი შესაბამის საგანში.
5. კომისიის მიერ შემუშავებულ ტესტებზე საჭიროა შესაბამისობის დასკვნის დადება, რომელსაც ახორციელებს შესაბამისი საგნის სპეციალისტი (არანაკლებ 1) რომელსაც არ უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული ტესტის მომზადებაში;
6. ტესტების შესაბამისობის დასკვნის დადებაზე უფლებამოსილი პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- ა) უმაღლესი განათლება შესაბამის საგანში (მაგისტრი/სასურველია დოქტორი);
  - ბ) არანაკლებ სამწლიანი სამუშაო გამოცდილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამის საგანში და საფეხურზე (საბაზო);
  - გ) წამყვანი/მენტორი მასწავლებლის სტატუსი, ან/და არის ააიპ აჭარის განათლების ფონდთან არსებული მასწავლებელთა სახლის საგნობრივი ტრენერი შესაბამის საგანში.
7. ოლიმპიადის პირველი ტურის პროცედურული დარღვევებისა და შედეგების თაობაზე თითოეული საგნის მიხედვით წარმოშობილი დავები განიხილება შესაბამისი რესურსცენტრის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საპრეტენზიო კომისიის მიერ;
8. მეორე ტურის პროცედურული დარღვევებისა და შედეგების თაობაზე თითოეული საგნის მიხედვით წარმოშობილი დავები განიხილება ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ.

#### **მუხლი 4. დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის კონკურსის პირობები**

1. კონკურსი ჩატარდება შემდეგ საგნებში:
  - ა) ქართულ ენა და ლიტერატურა;
  - ბ) მათემატიკა;

გ) ისტორია და სამოქალაქო განათლება (ინტეგრირებული).

2. ქართული ენისა და ლიტერატურის კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებს. კერძოდ:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის მე-5 და მე-6 კლასის 5 მოსწავლისგან დაკომპლექტებულ თითო გუნდს. გუნდის შემადგენლობაში უნდა იყოს: ორი მე-5 კლასის, ორი მე-6 კლასის და ერთი მე-5 ან მე-6 კლასის მოსწავლე. გუნდს უნდა ჰქონდეს სახელი და ჰყავდეს გუნდის შემადგენლობიდან არჩეული კაპიტანი, რომელიც გუნდს ხელმძღვანელობს კონკურსის ორივე ტურზე.

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან წარმოდგენილ საბაზო საფეხურის მე-7, მე-8 და მე-9 კლასის 5 მოსწავლისგან დაკომპლექტებულ თითო გუნდს. გუნდის შემადგენლობაში უნდა იყოს: ერთი მე - 7 კლასის, ორი მე-8 კლასის და ორი მე-9 კლასის მოსწავლე. გუნდს უნდა ჰქონდეს სახელი და ჰყავდეს გუნდის შემადგენლობიდან არჩეული კაპიტანი, რომელიც გუნდს ხელმძღვანელობს კონკურსის ორივე ტურზე.

3. მათემატიკის კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებს. კერძოდ:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის მე-5 და მე-6 კლასის 5 მოსწავლისგან დაკომპლექტებულ თითო გუნდს. გუნდის შემადგენლობაში უნდა იყოს: ორი მე-5 კლასის, ორი მე-6 კლასის და ერთი მე-5 ან მე-6 კლასის მოსწავლე. გუნდს უნდა ჰქონდეს სახელი და ჰყავდეს გუნდის შემადგენლობიდან არჩეული კაპიტანი, რომელიც გუნდს ხელმძღვანელობს კონკურსის ორივე ტურზე.

ბ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან წარმოდგენილ საბაზო საფეხურის მე-7, მე-8 და მე-9 კლასის 5 მოსწავლისგან დაკომპლექტებულ თითო გუნდს. გუნდის შემადგენლობაში უნდა იყოს: ერთი მე - 7 კლასის, ორი მე-8 კლასის და ორი მე-9 კლასის მოსწავლე. გუნდს უნდა ჰქონდეს სახელი და ჰყავდეს გუნდის შემადგენლობიდან არჩეული კაპიტანი, რომელიც გუნდს ხელმძღვანელობს კონკურსის ორივე ტურზე.

4. ისტორიისა და სამოქალაქო განათლების კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ აჭარის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საბაზო საფეხურის მოსწავლეებს. კერძოდ:

ა) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან წარმოდგენილ საბაზო საფეხურის მე-7, მე-8 და მე-9 კლასის 5 მოსწავლისგან დაკომპლექტებულ თითო გუნდს. გუნდის შემადგენლობაში უნდა იყოს: ერთი მე - 7 კლასის, ორი მე-8 კლასის და ორი მე-9 კლასის მოსწავლე. გუნდს უნდა ჰქონდეს სახელი და ჰყავდეს გუნდის შემადგენლობიდან არჩეული კაპიტანი, რომელიც გუნდს ხელმძღვანელობს კონკურსის ორივე ტურზე.

5. გუნდის შემადგენლობასთან დაკავშირებით გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ მცირე კონტიგენტის სკოლებისთვის. ასეთ სკოლას შეუძლია წარმოადგინოს გუნდი სხვა თანაფარდობით ზემოაღნიშნული კონკურსებით გათვალისწინებული კლასებიდან, მაგრამ არანაკლებ 4 წევრისა თითოეულ გუნდში. აღნიშნულის თაობაზე წერილობით უნდა აცნობოს სამინისტროს.

6. დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის კონკურსის ტესტების/ამოცანების კრებულს და შეფასების წესს ადგენს ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ

შესაბამისი საგნის სპეციალისტებისგან (არანაკლებ 3 წევრი) დაკომპლექტებული კომისია რომლებსაც უნდა ჰქონდეთ:

- ა) უმაღლესი განათლება შესაბამის საგანში (მაგისტრი/სასურველია დოქტორი);
  - ბ) არანაკლებ სამწლიანი სამუშაო გამოცდილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამის საგანში და საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო);
  - გ) წამყვანი/მენტორი მასწავლებლის სტატუსი, ან/და არის ააიპ აჭარის განათლების ფონდთან არსებული მასწავლებელთა სახლის საგნობრივი ტრენერი ერთ-ერთ შესაბამის საგანში.
7. კომისიის მიერ შემუშავებული ტესტების/ამოცანების კრებულზე საჭიროა შესაბამისობის დასკვნის დადება, რომელსაც ახორციელებს შესაბამისი საგნის სპეციალისტი (არანაკლებ 1) რომელსაც არ უნდა ჰქონდეს მონაწილეობა მიღებული ტესტების/ამოცანების კრებულის მომზადებაში;
  8. ტესტების/ამოცანების კრებულის შესაბამისობის დასკვნის დადებაზე უფლებამოსილი პირი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
    - ა) უმაღლესი განათლება შესაბამის საგანში (მაგისტრი/სასურველია დოქტორი);
    - ბ) არანაკლებ სამწლიანი სამუშაო გამოცდილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამის საგანში და საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო);
    - გ) წამყვანი/მენტორი მასწავლებლის სტატუსი, ან/და არის ააიპ აჭარის განათლების ფონდთან არსებული მასწავლებელთა სახლის საგნობრივი ტრენერი ერთ-ერთ შესაბამის საგანში.
  9. კონკურსების პირველი ტურის პროცედურული დარღვევების თაობაზე თითოეული საგნის მიხედვით წარმომობილი დავები განიხილება შესაბამისი რესურსცენტრის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საპრეტენზიო კომისიის მიერ;
  10. კონკურსების პირველი ტურის შედეგების თაობაზე თითოეული საგნის მიხედვით წარმომობილი დავები განიხილება ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ;
  11. კონკურსების მეორე ტურის პროცედურული დარღვევებისა და შედეგების თაობაზე თითოეული საგნის მიხედვით წარმომობილი დავები განიხილება ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ.

#### მუხლი 5. ესეების კონკურსის ჩატარების პირობები

1. ესეების კონკურსი ჩატარდება ინგლისურ ენაზე სამ ტურად;
2. კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების X კლასის მოსწავლეები;
3. პირველი და მეორე ტურები ჩატარდება წერილობითი, ხოლო მესამე ტური - პრეზენტაცია/გასაუბრების ფორმით.
4. კონკურსის პირველი ტურის ჩატარების ორგანიზებას უზრუნველყოფს შესაბამისი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება, ხოლო მეორე და მე-3 ტურების ჩატარების ორგანიზებას ტენდერში გამარჯვებული მიმწოდებელი, სამინისტროსთან შეთანხმებული პირობებით.
5. კონკურსის პირველი ტური ჩატარდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.
6. პირველ ტურში მოსწავლის მიერ შესრულებულ ნამუშევარს შეაფასებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დაკომპლექტებული კომისია.

7. ესეების კონკურსის მეორე ტურში მონაწილეთა ნამუშევრებს ასწორებს და აფასებს, ასევე, პრეზენტაცია/გასაუბრებას შეაფასებს ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ დაკომპლექტებული კომისია.
8. სამინისტრო მეორე ტურის შედეგების გათვალისწინებით გამოავლენს კონკურსის მესამე ტურში გადასულ მონაწილეებს.
9. სამინისტრო მესამე ტურის შედეგების გათვალისწინებით გამოავლენს ესეების კონკურსის გამარჯვებულს.
10. ესეების კონკურსის სამივე ტურის თემატიკას და შეფასების კრიტერიუმებს ადგენს ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ არანაკლებ სამი წევრისგან დაკომპლექტებული კომისია.
11. კომისიის წევრები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მოთხოვნებს:
  - ა) უმაღლესი (მაგისტრის ან დოქტორის აკადემიური ხარისხი) განათლება;
  - ბ) წამყვანი/მენტორი მასწავლებლის სტატუსი, ან/და არის ააიპ აჭარის განათლების ფონდთან არსებული მასწავლებელთა სახლის საგნობრივი ტრენერი შესაბამის საგანში.
12. პირველი ტურის პროცედურულ დარღვევებსა და შედეგებზე წარმოშობილი პრეტენზიები და დავები განიხილება შესაბამისი რესურსცენტრის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საპრეტენზიო კომისიის მიერ.
13. მეორე და მესამე ტურის პროცედურულ დარღვევებსა და შედეგებზე წარმოშობილ პრეტენზიებსა და დავებს განიხილავს ტენდერში გამარჯვებული კომპანიის მიერ დაკომპლექტებული კომისია.